ხაშურის მოამბე

№20(393) 29 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი

მიხეილ შაყულაშვილმა მუნიციპალიტეტის მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან ერთად, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა და მიმდინარე საკითხები განიხილა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმდინარეობას. მერების თქმით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და პროექტები დათქმულ ვადებში დასრულდება.

გარდა ამისა, საუბარი შეეხო უსახური შენობების დემონტაჟის საკითხს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

როგორც მხარის რწმუნებულმა აღნიშნა, უმთავრესი პრიორიტეტია, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელება და პრობლემური საკითხების დროული გადაჭრა, მსგავსი სახის სამუშაო შეხვედრები და ერთობლივი მუშაობა კი პრობლემების დროული მოგვარების შესაძლებლობას იძლევა.

ხაშურის მუნიციპალიტეტმა ბათუმში რიგით მე-14 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში - "EBIT 2023" მიიღო მონაწილეობა

ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 გამოფენაში შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო ხელოვნების ნიმუშების ოსტატმა ბონდო ჩადუნელმა, ებოქსიტით და ცოცხალი ყვავილებით დამზადებული ხელნაკეთი ნივთების ავტორმა ნათია კიკნაძემ; ნაზუქის და დედას პურის ცხობის მასტერკლასები ჩაატარეს ფოთოლა ხაჩიძემ და მაკა ინაურმა-ხაჩიძემ.

გამოფენის ძირითად მიზანს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობა და ტურისტული ადგილების ცნობადობის გაზრდა წარმოადგენდა. გამოფენაში 85 ქართული და საერთაშორისო კომპანია მონაწილეობდა. ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა კომპანია „Expo Batumi"-ის ორგანიზებით გაიმართა.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების კენჭისყრის ეტაპზე გადასული იდეები გამოვლენილია

24 მაისს მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და საბჭოს სხვა წევრები.

საბჭოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადების შესახებ მოხსენება წარუდგინა მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა. კენჭისყრის ეტაპზე გადასულია 57 განაცხადი. აქედან 25 განაცხადი სოფელ წაღვლში, 16 განაცხადი სოფელ თაგვეთში და 16 განაცხადი სოფელ ცედანში.

განაცხადები მოიცავს 9 საპროექტო იდეას, რომლებიც, ძირითადად, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხება.

კერძოდ, სოფელ წაღვლში კენჭისყრის ეტაპზე გადასულია ხუთი საპროექტო იდეა:

აბისთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - (7 განაცხადი);

სკვერის მოწყობა - (12 განაცხადი);

მოედნის დასრულება (სკვერი) – (2 განაცხადი);

შიდა გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის და სანიაღვრეების მოწყობა) - (2 განაცხადი) ;

სკვერის და სპორტული მოედნის დასრულება - (2 განაცხადი).

სოფელ თაგვეთში კენჭისყრის ეტაპზე ორი საპროექტო იდეა გადავიდა:

ავარიული გზის აღდგენა - (10 განაცხადი);

ბეტონის გზის მოწყობა - (6 განაცხადი);

ასევე ორი საპროექტო იდეა გადავიდა კენჭისყრის ეტაპზე სოფელ ცედანშიც:

ბეტონის გზის მოწყობა - (10 განაცხადი);

მინი სპორტული მოედნის მოწყობა - (6 განაცხადი).

ამასთან, სოფელ წაღვლში ხმის მიცემა ელექტრონული წესით (სმს-ების საშუალებით) განხორციელდება, ხოლო თაგვეთსა და ცედანში ტრადიციული მეთოდით (ბიულეტენების საშუალებით).

კენჭისყრა დღეს შედგება და გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება.

მიულოცეს მუზეუმის საერთაშორისო დღე

18 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, თანაშემწე-მერაბ ბარბაქაძესთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად,მუზეუმელებს მუზეუმის საერთაშორისო დღე მიულოცა და მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები დაათვალიერა.

შეხვედრაზე განხილული იყო მუზეუმთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები.

აღსანიშნავია,რომ წელსაც,სამუზეუმო კვირეული,მრავალფეროვანი პროგრამითაა წარმოდგენილი: „ჩემი ფავორიტი სამუზეუმო ექსპონატი“, „ხაშური - 330“ (ამბების თხრობა ხაშურის შესახებ მისი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებიდან დღემდე, ლექცია: „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ოჯახი“(ციკლიდან: „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში“), შეკრება მრგვალ მაგიდასთან ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, ლექცია: „ერთი ოჯახის ისტორია-ცაგურიები“

1997 წლიდან, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს, ICO -ის გადაწყვეტილებით, 18 მაისი- მუზეუმების საერთაშორისო დღე, მთელ მსოფლიოში აღინიშნება. ღონისძიების მთავარი მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუზეუმების მნიშვნელობის წარმოჩენაა, როგორც პლატფორმის, რომელიც კულტურული ცხოვრების გამდიდრებას, ხალხთა შორის კომუნიკაციას, კულტურათა გაცვლას და მშვიდობიანი საზოგადოების ფორმირებას უწყობს ხელს.

სტუმრად - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების“ ცენტრში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების“ ცენტრს ესტუმრა. მუნიციპალიტეტის მერი ცენტრის კოორდინატორ ლილი სტეფანიანს შეხვდა და გაწეულ სამუშაოებს გაეცნო. ცენტრის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. მიმდინარეობს მისი ინვენტარით აღჭურვა.

ხაშურში „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი “ “საზოგადოება ბილიკის“, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადრა-საქართველოსა და პოლონეთის დახმარების თანამშრომლობით, უახლოეს პერიოდში გაიხსნება.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის მიერ.

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტება კულტურის სახლის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშვირებით

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას ხაშურის კულტურის სახლთან დაკავშირებული მოვლენების ირგვლივ.

გვსურს მოსახლეობას - კულტურის სფეროთი დაინტერესებულ ადამიანებს მივაწოდოთ ამომწურავი ცნობები იმ სამუშაოების შესახებ,რაც განხორციელდა თუ ვერ /არ განხორციელდა კულტურის

სახლში და ამით დასრულდეს ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველგვარი სპეკულაცია.

როგორც წესია, ხაშურის მუნიციპალიტეტმა კულტურის სახლის რეაბილიტაციის დაწყებამდე განახორციელა საპროექტო სამუშაოების შესყიდვა. შედეგად,კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ტექნიკური ნორმისა თუ სტანდარტის შესაბამისად. შემდგომ ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ „ინშაათ საქართველომ“ დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამწუხაროდ, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყდა განსაზღვრული პირობების არაჯეროვნად შესრულების გამო. კერძოდ,კომპანიამ ვერ უზრუნველყო დათქმულ ვადებში სამუშაოების წარმოება. მათ შორის, ვერ მოესწრო აკუსტიკური პანელების გაკვრა, რაც პროექტით იმთავითვე იყო გათვალისწინებული. აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ნებისმიერ სამუშაოზე,რომელსაც როგორც ამ,ისე სხვა შემთხვევაში ასრულებს მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული კომპანია, მზადდება ექსპერტიზის დასკვნა. მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებას ახორციელებს აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დადასტურებული იქნება გაწეული სამუშაოების შესაბამისობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებთან და სტანდარტებთან. შესაბამისად, კომპანია „ინშაათ საქართველოს“ შეუსრულებელ სამუშაოზე არ მიუღია არავითარი ანაზღაურება. მეტიც, შეუსრულებელი ვალდებულებების გამო კომპანიას დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო 401 850 ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს ანაზღაურებამდე მუნიციპალიტეტს შეჩერებული აქვს კომპანიის კუთვნილი 204 175 ლარის გადარიცხვა. საკითხს განიხილავს სასამართლო და საბოლოო გადაწყვეტილებაზე სწორედ ეს უწყება იმსჯელებს.

ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ჩატარდა შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია და მუნიციპალიტეტმა ხელახალი ტენდერი გამოაცხადა ინვენტარიზაციის შედეგების გათვალისწინებით. ტენდერი ამჟამადაც მიმდინარეა. ახალი ტენდერით, უკვე გათვალისწინებულია სახურავისა და მარჯვენა ფლიგელის რეაბილიტაციაც, რაც წინა ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რაც ჩვენს შესაძლებლობაშია,რომ ხაშურს უახლოეს პერიოდში თანამედროვე სტანდარტების კულტურის სახლი ჰქონდეს.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19)

მკვლევარი ზ. ალექსიძე კულტურულ-ისტორიულ ასპექტში განიხილავს ასურელ მამათა საქმიანობას, მათ როლსა და ღვაწლს ქვეყნის ცხოვრებაში და წერს: ამიტომ ასურელი მამებისა და მათი მოწაფეების მიერ საქართველოს პერიფერიებში მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევა, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და სამონასტრო ცხოვრების დანერგვა, იმავე დროს მღვდელთმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებას, ქართული სამწერლობო ენის გავრცელების არეალის გაფართოებას ნიშნავდა. იხაზებოდა „ყოველი ქართლის“ სახელმწიფო საზღვრები და უკვე მაშინ მზადდებოდა ნიადაგი გიორგი მერჩულეს განთქმული ფორმულის განსახორციელებლად. როოგრც ყოველთვის შემდგომ ქვეყნის გაერთიანების თანდათანობითი პროცესი ახლაც ეკლესიამ დაიწყო: „ნელად-რე შეკრება ქართლი“ ქვეყნის სათავეში მოვიდა გუარამ კურაპალატი, რომელმაც გაერთიანებას პოლიტიკური სახე მისცა და იწყო მცხეთის ჯვრის შენება „მცველად ყოვლისა ქართლისა“. სულ მალე კათალიკოსის ტატზე ავა კირონ მცხეთელი, რომელიც სრულად გამოიყენებს ასურელ მამათა ღვაწლის შედეგებს და სასაზღვრო პროვინციებში აქტიური ენობრივი პოლიტიკის გატარებას დაიწყებს.

გვიან ქართული მწერლობა აცნობიერებს, რომ ამ ფუნქციის შესასრულებლად ასურელ

მამებს სჭირდებოდათ ქართული ენის კარგად ცოდნა. ამიტომ ისინი სპეციალურად უსვავენ ხაზს იოანე ზედაზნელის მიერ სასწაულებრივად თავიდანვე ქართულად ამეტყველებას, ხოლო მისი მოწაფეების მიერ ქართული ენის სწრაფად ათვისებას. გვიანმა რედაქციებმა იციან გიორგი მერჩულეს ფორმულა, საქართველო გაერთიანების გზაზე დგას და ერთიანი საქართველოსათვის ერთი საეკლესიო (სახელმწიფო) ენის პრობლემა მათთვის უკვე ცნობიერი აქტია. უძველეს (სინურ) რედაქციაში კი ჯერ არ არის ამის შესახებ ლაპარაკი, რადგან ამ დროს ეს ამოცანა ჯერ კიდევ არა აქვს ავტორს გააზრებული“

ასურელ მამათა „ცხოვრების“ სინური რედაქცია ლაკონურად და ზუსტად განსაზღვრავს მათი მისიის მიზანს და შედეგებს: „ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიჴსენოთ მცირედ, რომელნი განათლდეს და სხუანი განანათლეს საზღუართა შინა ქართლისათა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშ&ენნეს, რომელნი ვიდრე დღენდღელად დღედმდე ჰგიან შეურყეველად და დიდებულად ღმრთისა მადლითა და ლოცვითა მათითა“.

ასეთი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ საქმიანობაში თავისი მოკრძალებული წვლილი მიუძღვის მიქაელ ულუმბოელს, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე მოღვაწეობდა და თანაბრად ჰფენდა მადლს ორივე საქართველოზე.

* * *

გობრონ (მიხეილ) საბინინის მიხედვით, რომელ ასურელ მამაათა ცხოვრებამაც ვერ მოაღწია ჩვენამდე, „...ვითარ უწყით იყვნენ მოწაფენი წმიდა იოანესი.“

გობრონ საბინინი მათ შესახებ აღნიშნავს: „ოდეს ებრძანა წმ. იოანეს ღუთისმშობლის მიერ, წარგზავნა მოწაფეთა თვისთა საქადაგოთ, მაშინ მოუწოდა იგინი და შემდეგ გამოცხადებისა მათ და ბრძანებისა ღუთისასა, მიუმცნო მათ მცნება და სწავლა, რომელითა განამტკიცნა იგინი და განუტევა საქადაგოთ... წმინდა მამა პიროს, მიხაილ, თადეოზ და ისიდორე წარვიდნენ ქართლს და მოვლეს იგი ქადაგებითა, არამედ ზენონ და სტეფანე წარვიდნენ კახეთს და მოვლეს იგი ქადაგებითა ღუთისათა. ამათ წმინდა მამათა სრულიად განავრცეს სარწმუნეობა ქრისტესი და სრულიად მოსპეს უსჯულოებაი და დაშრიტეს ცეცხლის მსახურება“.

როგორც აღნიშნული იყო, ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანი მიქაელი შიდა ქართლის უკიდურეს დასავლეთში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვართან, სოფელ ულუმბოში დამკვიდრდა და აქ ეწეოდა ღვთისმსახურებას.

იგივე მიხეილ საბიბინი მიქაელის შესახებ წერს: „წმინდა მამა მიქაელ დაუძინებელი მუშაკი და დიდებული მოღვაწე ყანისა ქრისტესისა. შემდეგ განტევებისა, წარვლო მთა ზემო ქართლისა... აღაშენა მონასტერი თვისი მოახლო ულუმბისა ალის წყალსა ზედა. რომელსა შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი“.

მიქაელ ულუმბოელის ღვაწლი საქართველოში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების საქმეში ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას. XVIII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ ტფილელი მის შესახებ წერდა:

„გნატრი ულუმბას, დიდ ძალსა მეუნჯესა,
უათა სპეკალთა, ოქროთა უძვირესსა.
მიხაილის გუამი, ლარნაკსა ოფლვილღუაწლელსა ქართველ
მფარველად, მუნ მყოფსა აწ რომელნ ნიშთ მრავალ -
შექმნმანი, აღისუფევა ზეციდ“ (მ. საბიბინი,

* * *

მართალია, მიქაელ ულუმბოელის ცხოვრების ამსახველი თხზულება შემონახული არ არის, მაგრამ იმ მწირი საისტორიო მასალებიდანაც კარგად ჩანს ის განუზომელი ღვაწლი, რაც მან ქრისტიანობის განმტკიცებას დასდო ქართლში. ვ ა ხ უ შ ტ ი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ამ ხევს (ჭერათხევის - ხევი - თ.ლ.) ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუმბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ „იგ(13) მამათაგანის ქმნული, და დაფლული არის მიქელ მუნვე''.

მიქაელის ულუმბაში დამკვიდრებით, VI ს. შუა წლებიდან სოფელი ულუმბა ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება შიდა ქართლის უკიდურეს დასავლეთში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე. მიქაელ ულუმბოელის სახელთან არის დაკავშირებული აქ მარიამ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისა და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება. აქ შემორჩენილი სიძველეები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს დიდ სამონასტრო კომპლექსთან. როგორც სხვა ასურელ მამათა მიერ დაარსებულ მონასტრებში მიმდინარეობდა დიდი კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა, აქაც, ულუმბოშიც იგივეს უნდა ჰქონოდა ადგილი. ულუმბო მწიგნობრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად უნდა ქცეულიყო. საუკუნეების მანძილზე ულუმბოზე დატრიალებული ძნელ-ბედობა მხოლოდ ვარაუდების გამოთქმის საშუალებას იძლევა.

* * *

ულუმბის ეკლესიამ რამდენჯერმე განიცადა ნგრევა და განახლება და ჩვენამდე, ცხადია, პირვანდელი სახით არ მოუღწევია. მიქაელ ულუმბოელის თანადროული ეკლესიის მხოლოდ მცირეოდენი ნაშთებიღაა შემორჩენილი დღეს, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეკლესიამ მძიმე ისტორიული ქარტეხილები გამოიარა VI საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე. ეკლესიას, სულ მცირე ოთხჯერ მაინც უნდა განეცადა უცხოელ დამპყრობთა მხრიდან ნგრევა. ნადგურდებოდა და პარტახდებოდა აქ არსებული შენობა-ნაგებობები, მათში დაუნჯებული ხელნაწერი წიგნები და ფოლიანტები... მაგრამ ოთხჯერვე იქნა აღდგენილი და გამშვენიერებული ულუმბო. ამავე დროს, ცხადია, იცვლებოდა მისი პირვანდელი სახეც, რაღაცას ისტორიის მტვერი ედებოდა და იფარებოდა, რაღაცა ისევ პირვანდელ სახეს იძენდა, მაგრამ მომხდურთა კვალი მაინც რჩებოდა.

ულუმბის მონასტერმა, ვფიქრობთ, პირველად ნგრევა საქართველოში არაბების ბატონობის პერიოდში განიცადა. ეს უნდა მომხდარიყო IX საუკუნის შუა წლებში. VII საუკუნის 40 - იან წლებში საქართველოს საზღვრებთან ახალი დამპყრობი - არაბები გამოჩნდნენ. 642 – 643 წლებში არაბები, ქართლში არიან. საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. ამჯერად მათ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. სულ სხვა სურათია VIII საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველო არაბების ხელშია. 716 – 717 წლებში არაბები დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ.

735 წელს საქართველოში მურვან ყრუს სახელით ცნობილი მარვან იბნ-მუჰამედი შემოვიდა 120 ათასიანი ლაშქრით. მან სასტიკად მოაოხრა საქართველო.

არაბებმა ქართლი ცალკე საამიროდ გამოჰყვეს. ქართლის ამირას რეზიდენციად თბილისი გამოცხადდა. არაბული გარნიზონები იდგა თითქმის ყველა სტრატეგიულ ადგილში.

VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნენ ქართული სამეფო-სამთავროები: კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამთავრო, ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო და თბილისის საამირო. მათ შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის. ამის ფონზე მკვეთრად შეიცვალა თბილისის ამირას დამოკიდებულება სახალიფოს ცენტრისადმი. იგი თანდათან ემიჯნებოდა მას და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. ცხადია, ამას ვერ ურიგდებოდნენ არაბი ხალიფები.

IX საუკუნის 40-50-იან წლებში თბილისის ამირა საჰაკი ხალიფას განუდგა. ხალიფამ მის დასასჯელად 853 წელს ბუღა თურქი გამოაგზავნა დიდი ლაშქრით. ბუღა თურქმა საჰაკი მის მომხრე ადგილობრივ დიდებულებთან ერთად დაამარცხა. 5 აგვისტოს აიღო თბილისი, მთლიანად გადაწვა და დიდძალი მოსახლეობა გაჟლიტა. თვით საჰაკიც სიკვდილით დასაჯა. მატიანე მოგვითხრობს: „მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველი მთავარნი მათნი. და მოვიდა და დადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი“.

საჰაკის დასახმარებლად დასავლეთ საქართველოდან გადმოვიდა აფხაზთა მეფე თევდოსი, რომელიც ნაბახტევთან ახლოს კვერცხობში დადგა. ბუღა თურქმა თევდოსის წინააღმდეგ თავისი სპასალარი ზირაქი და აშოტ კურაპალატის ძე - ბაგრატი გააგზავნა. 26 აგვისტოს ქართველთა ლაშქარი არაბებთან დამარცხდა. თევდოსი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. „და თევდოსი, მეფე აფხაზთა, გადმოვიდა წინააღმდგომად მისა, და დადგა კუერცხობს. ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალაისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა”/

„მატიანე ქართლისაის” ცნობას თითქმის შეუცვლელად გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი, თუმცა ბრძოლის ადგილს არ მიუთითებს: „...გამოვიდა თეოდოსე მეფე აფხაზთა ბრძოლად, ხოლო ბუღამ წარავლინა სპასალარი თვისი ზირაქი და ბაგრატ მეფე; შეიბნენ აოტეს თეოდოსე მეფე და ივლტოდა დვალეთის გზით.

სხვა შემთხვევაში ვახუშტი ბატონიშვილი ბრძოლის ადგილს უთითებს: „ესევე ეწყო ბაგრატ მეფეს, ცოლის ძმასა თვისსა, და ბუღა თურქს კვერცხობს სპითა თვისითა“ და „შემდგომად ლტოლვილმან გარდმოვლო დუალეთი და მოვიდა აფხაზეთს“.

ყურადღებას იქცევს „გზასა დვალეთისასა”, რომლითაც მემატიანეთა მიხედვით, კვერცხობთან დამარცხებული თევდოსი ბრუნდება დასავლეთ საქართველოში.

„გზასა დვალეთისას“ იცნობს ქართული საისტორიო მწერლობა (ლეონტი მროველი და სხვები), მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მემატიანეთა ცნობა კვერცხობთან დამარცხებული თეოდოსის დასავლეთ საქართველოში დვალეთის გზით დაბრუნების შესახებ, სინამდვილეს მოკლებული უნდა იყოს . ჯერ ერთი, ბრძოლის ადგილიდან დვალეთის გზა საკმაოდ დაშორებულია და ასეთ გზას დამარცხებული თეოდოსი არა გვგონია, რომ აირჩევდა უკან დასაბრუნებლად. მეორეც, დასავლეთ საქართველოში კვერცხობიდან უმოკლესი გადასავლელი გზები სწორედ მის სიახლოვეს, ალის ხეობიდან გადის. ამიტომ ვფიქრობთ, უპირატესობაც ალის ხეობის გზებს უნდა მივანიჭოთ და აი რატომ.

მართლაც, თუ ქართლის ცხოვრების ხელნაწერები „გზასა დვალითისაზე“ საუბრობენ, მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრების ხელნაწერში მითითებულია, რომ დამარცხებული თევდოსი დასავლეთ საქართველოში „...წარვიდა მეოტი გზასა დასავლისასა“.

ვფიქრობთ, აღნიშნული ხელნაწერი სწორად გადმოგვცემს შექმნილ სიტუაციას. ქართლის ცხოვრების გადამწერთა დაშვებული შეცდომა მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში გასწორებულია. სახელწოდებითაც და შინაარსითაც ეს გზა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მიგვანიშნებს და ლიხის ქედზე გადის. ამიტომ უპირატესობას ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერის ამ ცნობას უნდა მივანიჭოთ.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

საერთო ქონებას ყველა უნდა გავუფრთხილდეთ

ძვირფასო ხაშურელებო, ბოლო პერიოდის განმავლობაში მერიას არაერთმა მოქალაქემ მომართა ნაგვის ურნების დამატების მოთხოვნით. ჩვენთვის თითოეული მოქალაქის მოსაზრება მნიშვნელოვანია,ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ გავაკეთოთ განმარტება: მუნიციპალიტეტს ამ პერიოდისთვის შესყიდული აქვს 635 ერთეული ნაგვის ურნა. მათ შორის 2021 წელს 200, ხოლო 2022 წელს 100 ნაგვის ურნის შესყიდვა განხორციელდა, რაც საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარია.

სამწუხაროდ, სხვადასხვა ადგილას განთავსებული ურნების მნიშვნელოვანი ნაწილი - 150-ზე მეტი ურნა შესყიდვიდან ძალიან მალევე ჩვენივე მოქალაქეების უპასუხისმგებლობას შეეწირა. მხოლოდ გასულ წელს 20-ზე მეტი ურნა დაზიანდა იმგვარად, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. ვაქვეყნებთ ფოტომასალას,სადაც ნათლადაა ასახული შედეგი, რომლის თავიდან არიდებაც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეიძლებოდა. დაგვეთანხმებით, ყველა ადგილას, სადაც კი ნაგვის ურნა განთავსდება, ვიდეოკამერის დამონტაჟება არარენტაბელურია.

ეს ის შემთხვევაა, როცა თითოეული ჩვენგანის სამოქალაქო პასუხისმგებლობა უმარტივეს, თუმცა მნიშვნელოვან მიზანს უნდა ემსახურებოდეს - არ დავაზიანოთ!

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ ურნების დაზიანება მიზანმიმართული ქმედება არ იყო, თუმცა, დაზიანებული ურნების რაოდენობა მსგავსი ოპტიმიზმის საშუალებას არ იძლევა!

მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, გამოვიჩინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თითოეული დაზიანებული ნივთი ხელახალი ხარჯის გაწევას ნიშნავს, რაც შეიძლებოდა სხვა, სასარგებლო საქმის გაკეთებისთვის ყოფილიყო გამოყენებული.

გთხოვთ, გაუფრთხილდით თქვენსავე ქონებას! წინააღმდეგ შემთხვევაში გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები!

მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალიტეტის სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა

წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებს 685 კურსდამთავრებული ჰყავს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ცოცხნარასა და ქემფერში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ასევე, ხორციელდება ალის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ახალუბნის გზის მოწყობა

„სოფელ ცოცხნარის გზის პროექტი გარდამავალია,სამუშაოები მიმდინარეობს როგორც სოფელ ცოცხნარაში, ასევე, ნარვანი-ქემფერის მიმართულებით, სამუშაოების ფარგლებში იგება ასფალტის საფარი, ეწყობა მილ-ხიდები და სანიაღვრეები. დაიდგმება და დაიხაზება საგზაო ნიშნები. სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს, გარდა ამისა, გზის მშენებლობა მიმდინარეობს ახალუბნის მიმართულებითაც, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ცოცხნარა-ქემფრის პროექტს,ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, რომლის ღირებულებაც 4 599 999 ლარს შეადგენს, ხოლო ახალუბნის გზის მოწყობის პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და მისი ღირებულება 386 915 ლარია.

საინფორმაციო შეხვედრა გენდერულ საკითხებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის „ევროპის დღე - 2023 ‘’ -ის ფარგლებში, ევროკავშირი - -საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ევროკავშირის საკითხებში - სოფო მიდელაშვილი. გაიმართა საინტერესო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ‘’ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა.

- იმ უდიდეს ექსპერიმენტებში და კვლევებში, რაც ცერნში ტარდება, მოკრძალებული წვლილი - ხაშურსაც მიუძღვის

ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია - CERN მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორიაა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. ცენტრი განლაგებულია ქალაქ ჟენევის დასავლეთით, ნაწილობრივ შვეიცარიის და ნაწილობრივ საფრანგეთის ტერიტორიაზე. ორგანიზაცია ასევე ცნობილია, როგორც მსოფლიო აბლაბუდის დაბადების ადგილი. დაფუძნდა 1954 წლის 29 სექტემბერს წევრ ქვეყანათა ხელმოწერით. ბკეო-ს თავდაპირველად 12 წევრი ჰყავდა, რაც დღეისთვის 20-მდე გაიზარდა.

მისი მთავარი ფუნქცია ბირთვული აქსელერეტორების მოწოდებაა მაღალი ენერგიის ფიზიკის კვლევებისთვის და უამრავი ცდისთვის, რომელიც აკეო-ს საერთაშორისო კოლაბორატორთა მიერ იქნა აშენებული საერთო გამოყენებისთვის. მთავარ ლაბორატორიაში მდებარეობს ვრცელი კომპიუტერული ცენტრი უძლიერესი მონაცემთა დამმუშავებელი მოწყობილობებით, რომელთა ძირითადი დანიშნულება ექსპერიმენტულ მონაცემთა ანალიზია; და ვინაიდან ეს ცენტრი მკვლევართა დიდი ქსელისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ის ისტორიულად იყო (და დღემდე რჩება) უდიდეს და უმთავრეს ქსელურ გამანაწილებლად.

ამჟამად ბკეო-ში სრული დატვირთვით 3000-მდე თანამშრომელი მუშაობს. 6500-მდე მეცნიერი და ინჟინერი (500 უნივერსიტეტიდან და 80 ქვეყნიდან).

ლაბორატორიას ძლიერ გაუწია პოპულარიზაცია დენ ბრაუნის ბესტერლერმა რომანმა "ანგელოზები და დემონები", რომლის პირველი თავი აქ თითქოსდა მომხდარ მოვლენებს ეძღვნება. მიკროკოსმოსის საგამოფენო ცენტრი ღიაა საზოგადოებისთვის, ასევე შესაძლებელია ზოგიერთი მიმდინარე ცდას დათვალიერება.

საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვარზე,ჟენევასთან ახლოს,ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის - "ცერნის" ლაბორატორიაში ათასობით მეცნიერი სამყაროს შექმნის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობს. "ცერნში" წარმატებით მოღვაწეობენ ქართველი მეცნიერებიც.

ცერნში დაბადებული მსოფლიო მიღწევები

2012 წელს ცერნში ელემენტარული ნაწილაკი – „ჰიქსის ბოზონი" აღმოაჩინეს. მანამდე, 60 წლით ადრე, ბრიტანელ მეცნიერს, პიტერ ჰიქსის ჰქონდა ნავარაუდევი მისი არსებობა. „ჰიქსის ბოზონის" აღმოჩენა ცერნში მოხერხდა კოლაიდერის მეშვეობით,რომელიც 2010 წელს აამუშავეს. შედეგად დადგინდა,როგორ შეიძინეს ელემენტარულმა ნაწილაკებმა მასა. ექსპერიმენტის ერთ-ერთი მონაწილე ლექსო მესტვირიშვილი იყო:

***

მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს, გიამბობდით ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მორის დანდურიშვილის ცერნში სასწავლო ვიზიტის შესახებ. მორის დანდურიშვილი იქ ქართველ მეცნიერებს შეხვდა. მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერ ლევან ღონღაძეს, რომლის მშობლიური ქალაქი ხაშურია. ბატონი მორისი მაშინ სიამაყით გვატყობინებდა,რომ ლევან ღონღაძისაგან მიიღო დაპირება: როდესაც საქართველოს და ხაშურს ეწვეოდა,აუცილებლად ესტუმრებოდა პირველ საჯარო სკოლასაც. ლევანმა პირობა შეასრულა. რამდენიმე ხნის წინ, ახალგაზრდა მეცნიერმა, მშობლებთან ერთად, სკოლა მოინახულა,სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეხვდა და ბატონი მორისიც განსაკუთრებულად გააბედნიერა. მეც, რა თქმა უნდა, პროფესიული შანსი ხელიდან არ გავუშვი და ცერნელი ახალგაზრდა ხაშურელი მეცნიერი ლევან ღონღაძე ინტერვიუზე შევიპირე, ხაშურთან დაკავშირებული მისი მოგონებებით დავინტერესდი და ლევანის ფიზიკოს მშობლებს შვილის ბავშვობის გახსენებაც ვთხოვე. ამ და სხვა საინტრერესო ამბების შესახებ ინტერვიუდან გაიგებთ. მაშ ასე:

ლევან ღონღაძეს ქართულად საუბარი უჭირს და უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა,ამიტომ მას მშობლები ეხმარებოდნენ ინტერვიუს მსვლელობის დროს საუბარში.

ლევან ღონღაძე მუშაობს ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტში და არის ატლასის ექსპერიმენტის NSW და RPC განახლების ჯგუფის წევრი. ბოლო 3 წელია მუდმივად იმყოფება ცერნში ატლასის მიონურ სპექტრომეტრში NSW (New Small Wheel) ინტეგრაციისა და ექსპლუატაციაში შესაყვანად. ცოტა ხნის მან მოიპოვა 2 წლიანი გრანტი და მიმდინარე წელს იწყებს საქმიანობას I -ში (Istituto Nazionale di Fisica Nucleare,).

ლევანის მამა - ალექსი ღონღაძე ფიზიკის ინსტიტუტის და საქართველოს უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (ბკგი) სექტორის უფროსი. იგი ამავე დროს არის ატლასის მიონური ჯგუფის უფროსი,ატლასის ექსპერიმენტის NSW და RPC განახლების ჯგუფის ლიდერი ბკგი-დან.

ლევანის დედა - ირმა შანავა-ღონღაძე,ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ინჟინერი და ატლასის ექსპერიმენტის NSW და RPC განახლების ჯგუფის წევრი.

ლევან ღონღაძე

- აქ ზაფხულში ჩასმოვდიოდით მე და მშობლები და დროს ვატარებდით ბიძაშვილებთან და ბიძაშვილიშვილებთან და ძალიან მიყვარს ხაშური.

- <u>რას გაიხსენებთ ხაშურთან დაკავშირებით, რა გახსოვთ ბავშვობიდან?</u>

- ტყლაპი, ძალიან გემრიელი ტყლაპია... (ყველა იცინის). ბოლოს ექვსი წლის წინ ვიყავი საქართველოში და ეხლა ჩამოვედი და მაგრად მიხარია, რომ ჩამოვედი. ბავშვობაში უფრო ხშირად ჩამოვდიოდი, ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდით მე, ჩემი და და დედა. აქ ძალიან ბევრი ახლობელი გვყავს და მათთან კავშირს არ ვწყვეტთ.

- <u>ლევან, მოგვიყევით, როგორ დაიწყო თქვენი ფიზიკის გზით სიარული, რატომ ხართ ამ სფეროში?</u>

- <u>მამაჩემია ფიზიკოსი, დედაჩემია ფიზიკოსი და სხვა გზა არ მქონდა იცინის</u>

<u>-ანუ,მშობლების პროფესიის გავლენა დიდი იყო?</u>

- კი, კი

საუბარში ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი ერთვება.

- თუმცა, ლევანს ინტერესი თვითონაც ქონდა, იმიტომ რომ როდესაც ვისაუბრეთ, ამის შესახებ თავად აღნიშნა. ლევანის და არ გაყვა ფიზიკას...

ლევან ღონღაძე:

- კი ჩემი და მუსიკოსია, მევიოლინე.

-ეხლა სად ცხოვრობთ?

- თავდაპირველად დუბნაში ვცხოვრობდით ოჯახი, მერე გადავედით ჟენევაში, და ეხლა მალე წავალ იტალიაში, ორწლიანი გრანტი მოვიგე და ვიცხოვრებ რომთან ახლოს, ქალაქ ფრასკატისთან.

<u>- იქ რას გააკეთებთ?</u>

- მანდ უფრო აიტიზე ვიქნები, პროგრამირება, და ვნახოთ რა როგორ იქნება.

საუბარში ლევანის მამა ალექსი ღონღაძე წამოგვეშველა. ალექსი ღონღაძე - ფიზიკოსი. დუბნის ბირთვული ფიზიკის გაერთიანებული საერთაშორისო ინსტიტუტის (საქართველო არის წევრი) სექტორის უფროსი, „ატლასის" ექსპერიმენტში ნეონური ჯგუფის უფროსი, პროექტის ხელმძღვანელი დუბნის მხრიდან (ესეც იქნება ნეირონული ქსელი, რომელსაც გამოიყენებენ იმ ინფორმაციის დამუშავებაში, რომელიც ატლასშია, ატლასის ექსპერიმენტში ჩაერთვება).

- ხაშური ეს არის ჩემი ბავშვობა. ყოველ ზაფხულს ხაშურში ვიყავი სამი თვე და ველოდებოდი, როდის მოვიდოდა დასვენებები, როდის დაგვითხოვდნენ სამი თვით, რომ ჩამოვსულიყავი. სულ აქ მაქვს გატარებული ბავშობა. დღესაც, როცა ჩამოვდივარ საქართველოში, რომ არ ჩამოვიდე ხაშურში, არ შეიძლება,ჩემი წინაპრები აგერ,ცხრამუხაში არიან დაკრძალულები, მინიმუმ იქ მაინც უნდა ჩავიდე, რომ პატივი მივაგო მათ.

ლევან ღონღაძის დედა, ირმა შანავა, ასევე ფიზიკოსი, მეუღლესთან ერთად მუშაობს ცერნში.

<u>-ქალბატონო ირმა, ფიქრობდით, რომ ლევანი თქვენს გზას გაყვებოდა?</u>

- ლევანი დიდი ხანი ეძებდა თავის თავს და მერე ამ პროექტში მოხვდა და მოეწონა და მერე უკვე გაყვა მშობლების კვალს, როგორც იტყვიან.

<u>- როგორი ბავშვი იყო ლევანი?</u>

- ლევანი? ცოტა ზარმაცი კი იყო ისე, ცოტას ვაძალებდით სწავლას, მაგრამ მერე და მერე, რომ გაუჩნდა ინტერესი, აღარ სჭირდებოდა დაძალება.

<u>- რა ინტერესები ჰქონდა ლევანს?</u>

- სპორტი, მუსიკა, დადიოდა ვიოლინოზე. ჩემი ქალიშვილი მუსიკოსია. დუბნაში გვქონდა იმის საშუალება, რომ სკოლის გარდა, ძალიან ბევრ რაღაცეებზე ევლო, წრეებზე... მუსიკა, ცეკვა, ამერიკული ფეხბურთი, ცურვა და აი, ამ ყველაფერს ასწრებდა ლევანი. ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის გარდა ეს შესაძლებლობები ბავშვის განვითარებისთვის, მისი გემოვნებისთვის. ცოტა ცელქი კი იყო ლევანი. ძალიან უყვარდათ მეგობრებს. 2008 - ში, ომის დროს, ჩვენ ცერნიდან ჩამოვედით, საქართველოში ვიყავით და ძალიან განვიცდიდით რა როგორ იქნებოდა, ვფიქრობდით, რომ აღარ დავბრუნდებოდით დუბნაში და ესეთი მომენტი იყო, რომელიც არ მავიწყდება არასოდეს... ლევანის მეგობრები, ნუ მაშინ ლევანი 14 წლის იყო, იქაური მეგობრები მოდიოდნენ, გარეთ იდგნენ და იძახდნენ, ლევანი ჩვენ შენთან ვართ, ლევანი როდის ჩამოხვალ. მეზობლები გვეუბნებოდნენ, რომ იქ იკრიბებოდნენ და ელოდებოდნენ ლევანის ჩამოსვლას. როდესაც ჩავედით, ზარი იყო, გამოვედით და ბავშვები რომ შეესივნენ მას და ეფერებოდნენ... ძალიან ემოციური იყო.

როგორც ჩემი შვილი არა, მაგრამ როგორც პიროვნება კარგი არის ლევანი (იცინის) და ესეც ძალიან მნიშვნელოვანია... თქვენც იგრძენით ალბათ.

მორის დანდურიშვილი:

- კი, კი, გაცნობის დღიდან აღარ მომცილებია, ძალიან დიდი სითბო ვიგრძენი მისგან, ყოველ დღე მოდიოდა ჩემთან. ხომ ვიცოდი რომ თავისი საქმე ჰქონდა, მაგრამ სისტემატიურად ჰქონდა ჩემთან კონტაქტი...

ირმა შანავა:

- აქ არ გაზრდილა, მაგრამ ეტყობა ხაშურულმა სისხლმა გაიღვიძა!

<u>და კითხვით ლევანის მამასთან გადავდივარ - ბატონო ალექსი, როგორ შეაფასებდით ლევანს, როგორც პროფესიონალს?</u>

- მიახლოებით ერთსა და იგივე სფეროში ვართ, ლევანი უფრო მაინც აიტის სფეროშია, ნუ, იზრდება, მოთხოვნა აქვს, რომ გაიზარდოს და მერე გამოჩნდება. თუ არ დაკარგა ეგ სურვილი, რომ გაიზარდოს, ძალიან კარგი იქნება. თუ დაკარგა, (იცინის), გაიჭედება იმ დონეზე და იქნება.

ბატონ ალექსის საუბარი თავისდაუნებურად მაინც ხაშურზე და ხაშურულ მოგონებებზე გადააქვს. ხაშურის პირველ საჯარო სკოლასაც არ ტოვებს უყურადღებოდ.

- ჩემთვის, მაგალითად, ძალიან სასიხარულო იყო ხაშურში და ამ სკოლაში მოსვლა. ეს სკოლა მახსოვს. აქ ბავშვები ფეხბურთს ვთამაშობდით ხოლმე... ბოლოს რომ შევხვდით, მას შემდეგ, ეხლა კარგად გამოიყურება სკოლა, როგორც ჩანს ბავშვებიც დაინტერესებულნი არიან, ნუ სხვა საგნები არ ვიცი, მაგრამ ფიზიკით.

ირმა შანავა:

- თვალები გაბრწყინებული ქონდათ მოსწავლეებს და ეხლა წარმოდგენილი მაქვს, როგორც თქვენ თქვით, რომ წარმოუდგენელია ცერნის ფიზიკოსებთან შეხვედრაო, აი, ჩვენთვის, რომ იქ ვმუშაობთ, ეს ჩეული ყოფაა, ჩვენც ჩვეულებრივები ვართ, მაგრამ ბავშვებისათვის ჩვენი იქ საქმიოანობა ძალიან მნიშვნელოვანია, და ვუსურვებდი ბავშვებს, რომ თუ ექნებათ სურვილი დაინტერესდნენ ფიზიკით, მე და ალექსი რაც შეგვიძლია დავეხმარებით. ალექსიმ ბევრ სტუდენტს შეუწყო ხელი საქართველოდან, რომლებიც უკვე მუშაობენ ცერნში.

ალექსი ღონღაძე:

- მოკლედ,ბატონი მორისი,ვისაც შეხვდა ახალგაზრდებს დუბნაში,სუყველა ჩემი ჯგუფის ხალხია.

ირმა შანავა:

- კი, ალექსის გაზრდილები არიან და როგორც ამბობენ, ტრამპლინი არისო დუბნა ფიზიკოსებისათვის. ..

- აი, ასე: იმ უდიდეს ექსპერიმენტებში და კვლევებში, რაც ცერნში ტარდება, მოკრძალებული წვლილი ხაშურსაც მიუძღვის.

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალური-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორდუში გამართული გასტროლებიდან დიდი წარმატებით დაბრუნდა

ქართულ-თურქული კულტურის დღეების ფარგლებში, ანსამბლის „ფრესკის“ სრული შემადგენლობა, ქორეოგრაფების: ელენე რატიანისა და გიორგი რატიანის ხელმძღვანელობით, თურქეთის რესპუბლიკის

ქალაქ ორდუში, მერიისა და გუბერნიის მიწვევით იმყოფებოდნენ.

ტურნეს ფარგლებში, ხაშურელ სტუმრებს, თურქმა მასპინძლებმა დაუვიწყარი დღეები აჩუქეს, საინტერესო გახლდათ ოფიციალური სამთავრობო შეხვედრები გუბერნიასა და ქალაქ ორდუს მერიაში,სადაც გუბერნატორმა თუნჯაი სონელმა და ორდუს მერმა, „ფრესკელებს“ რეგიონისა და ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ტურისტული შესაძლებლობები,ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პოტენციალი თუ სამომავლო პერსპექტივები გააცნეს.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო, ათა თურქის სახელობის სახელმწიფო კულტურის სასახლეში, „ფრესკას“ მიერ გამართული კონცერტი, რომელსაც არამხოლოდ ქალაქის მცხოვრებნი, არამედ მეზობელ ქალაქებიდან ჩამოსული ჩვენებურებიც სტუმრობდნენ.

„ფრესკას“ გამოსვლებს დიდი ოვაციები მოჰყვა,ანსამბლმა სპეციალურ სიგელებთან და საჩუქრებთან ერთად, ორდუში ყოველწლიური მიწვევა დაიმსახურა.

კონცერტში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებიც მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია ისიც,რომ ღონისძიებებს „TV12-აჭარას“ გენერალური დირექტორი და გადამღები ჯგუფიც შეუერთდნენ, რომლებიც

„ფრესკას“ უცხოური ტურნეს შესახებ სპეციალურ გადაცემას ამზადებენ.

„ფრესკას“ ქორეოგრაფ ელენე რატიანის განმარტებით, ამ ეტაპზე, ანსამბლი პოლონეთში გასტროლებისთვის ემზადება.

ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაციამ “ოქროს ფარი” ოქროს ორდენით დააჯილდოვა

საზეიმო ღონისძიება გაიმართა 2023 წლის 13 და 14 მაისს,რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის წარმატებულმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა. ცერემონიალზე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლი, წარდგენილი იყო “ოქროს ფარი” და ანსამბლის ხელმძღვანელი პაატა თედიაშვილი. ქორეოგრაფიული ანსამბლი “ოქროს ფარი” 27 წელზე მეტია ღირსეულად აგრძელებს მოღვაწეობას,მისი აღზრდილი მოცეკვავეები ამშვენებენ სხვადასხვა აკადემიურ ანსამბლებს. როგორც ცნობილია, ანსამბლის ხელმძღვანელები არიან: ნელი იაშვილი,და–ძმა

ნონა და პაატა თედიაშვილები.

“ოქროს ფარი” ოქროს ორდენით დაჯილდოვდა,ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი, პაატა თედიაშვილი, “წლის შემოქმედი - 2023” წოდებით. ანსამბლის მოცეკვავეებს გადაეცათ ოქროს მედლები.

დაჯილდოების ცერემონიის გახსნის პატივი წილად ხვდა ანსამბლ „ოქროს ფარს’.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.